საქართველო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

ბრძანება:**ბ48.48220456**
თარიღი:**14/02/2022**

,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის'' 2021 წლის 17 მაისის №2 ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის'' , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ 2021 წლის 17 მაისის №2 ხელშეკრულებისა და 2022 წლის 7 თებერვალს სს „სილქნეტი“-ს წერილობით მომართვის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეწყდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და სს „სილქნეტი“-ს შორის დადებული, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ 2021 წლის 17 მაისის №2 ხელშეკრულება.

2. ეცნობოს სს „სილქნეტი“-ს, რომ არ უბრუნდება გადახდილი თანხა, არ აუნაზღაურდება მის მიერ გაწეული სხვა ხარჯები. ეცნობოს, რომ ქონება დააბრუნოს პირვანდელ მდგომარეობაში და გააფორმოს მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტი ქონების დაბრუნების თაობაზე.

3. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განახორციელოს ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრულ უძრავ ქონებაზე სარგებლობის უფლების შეწყვეტა.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურს (მ. კანკაძეს).

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/.

6. ბრძანება ძალშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველო, ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ N25 (+995) 595 95 90 72 ელ. ფოსტა: TSKALTUBO1@GMAIL.COM